ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ ს-19/011821411103-17

"02." 11. 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, (სექტორი–კრწანისი), აბანოს შესახვევი №6/აბანოს შესახვევი №4/აბანოს შესახვევი №8-ში (საკ. კოდი №01.18.03.063.044) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №4053227 06.07.2018წ.

ქ. თბილისში (სექტორი–კრწანისი), აბანოს შესახვევი №6/აბანოს შესახვევი №4/აბანოს შესახვევი №8-ში (საკ. კოდი №01.18.03.063.044) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

"დ-ა" ფასადი: დ-გ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფრამუგა და გამწოვები. გ-ა მონაკვეთში ა ღერძის მხარეს ღიობებში დამატებით მოწყობილია გისოსები. ა ღერძის მარჯვნივ ღიობში დამატებით მოწყობილია გამწოვი მილი.

"ა-დ" ფასადი: ა-ბ მონაკვეთში გაუქმებულია შშმ პირთა ლიფტი. ±0.00 ნიშნულზე ა-ბ მონაკვეთში გაზრდილია მოაჯირის გაბარიტი. გ ღერძის მარცხნივ კარის თავზე დამატებით მოწყობილია მსუბუქი კონსტრუქციის გადახურვა. გ-დ მონაკვეთში კიბის საფეხურების ძირში დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია.

"2-1" ფასადი: 1 ღერძის მარჯვნივ +0.500 ნიშნულზე გაუქმებულია დეკორატიული მოპირკეთება, ხოლო +6.500 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია დეკორატიული ელემენტი.

"გეგმების მიხედვით" -3.00 ნიშნულზე გ-ბ მონაკვეთში გაზრდილია კიბის საფეხურების რაოდენობა. შემცირებულია სართულის სიმაღლე.

±0.00 ნიშნულზე გ-გ ღერძზე გაუქმებულია შშმ პირთა ლიფტი.

+3.500 ნიშნულზე 2-2 ღერძთან გაზრდილია კიბის საფეხურების რაოდენობა.

+3.000 ნიშნულზე გ-ა მონაკვეთში აივანზე დამატებით მოწყობილია გამყოფი ტიხარი.

+6.500 ნიშნულზე გ-გ ღერძზე ვიტრაჟის გვერდით დამატებით მოწყობილია მცირე ზომის ხვრელი.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს „დან დიურ ჰოლდინგი"-ს, ქ. თბილისში (სექტორი–კრწანისი), აბანოს შესახვევი №6/აბანოს შესახვევი №4/აბანოს შესახვევი №8-ში (საკ. კოდი №01.18.03.063.044) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01191233754**
თარიღი: **03/05/2019**
პინი: **8889**

ადრესატი: შპს დან დიურ ჰოლდინგი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 203855104
მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისი რაიონი, ჩიტაძის ქ, №3

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N 10/01190572827-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში (სექტორი–კრწანისი), აბანოს შესახვევი N6/აბანოს შესახვევი N4/აბანოს შესახვევი N8-ში (ს/კ N 01.18.03.063.044) მდებარე ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი) გადამოწმებით დადგინდა, რომ Nბ-19/01182141103-17 ბრძანებაში მითითებული დარღვევებიდან გამოსწორებულია შემდეგი: „ა-დ" ფასადზე „ა-ბ" მონაკვეთში მოწყობილია შ.შ.მ. პირთა ლიფტი. ასევე +0.00 ნიშნულზე გ-გ ღერძზე მოწყობილია შშმ პირთა ლიფტი.

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია MSDA-080 405026877